ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF BAGHDATI

1000, ბაღდათი წერეთლის ქ. N9. ტელ.(0434) 222929; 1000, 9, TSERETELI STR.
BAGHDATI; TEL: (0434) 22 29 29; E-MAIL: BAGDATISAKREBULO@YAHOO@YAHOO.COM

ბრძანება:**ბ67. 6723188001**

თარიღი:**07/07/2023**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით მივლინების წესისა და მივლინების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ.

„საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლისა და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურეობრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურეობრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N 211 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესი და განისაზღვროს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების ოდენობა და პირობები წინამდებარე ბრძანების დანართების (N1;N2;N3;N4.) სახით და წარმოდგენილი ანაგარიშის ფორმების შესაბამისად.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა თანამშრომელმა: მივლინების მოთხოვნის, მივლინებაში გამგზავრების, მივლინებიდან დაბრუნებისას იხელმძღვანელონ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით მივლინების წესისა და მივლინების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ და წარმოადგინონ ანგარიშები დამტკიცებული დანართების შესაბამისად.

3.ბრძანების თითო ასლი დაეგზავნოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებს, პროფესიულ საჯარო მოხელეებს, გაეცნონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებული პირები.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მისამართზე: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. N 11.

ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი